შეფიცული ქალწულები და ბიჭებად აღზრდილი მანდილოსნები ბალკანურ კინოში

მარიან ცუცუი

საკვანძო სიტყვები: *ფემინისტური ისტორია, ბალკანეთი, ნაფიცი ქალწულები, პატრიარქატი, იდენტობა, ეგზოტიკა, იზოლაცია, ადაპტაცია ეკრანზე*

პატრიარქატი არის სოციალური სისტემა, რომელშიც კაცებს უპყრიათ ძალაუფლება და დომინირებენ პოლიტიკური ლიდერობის, ზნეობრივი ავტორიტეტის, სოციალური პრივილეგიებისა და საკუთრების კონტროლის სფეროებში. ზოგ პატრიარქალურ საზოგადოებაში მემკვიდრეობა - წოდება თუ ქონება კაცის ხაზით გადადიოდა. ზოგიერთი თანამედროვე საზოგადოებაც კი, პრაქტიკულად, პატრიარქალურია.

არსებობს განსხვავებული მოსაზრებები პატრიარქატის რაობასთან დაკავშირებით: სოციალური პროდუქტი თუ სქესებს შორის თანდაყოლილი განსხვავებების შედეგი. ისტორიულად, ტერმინი „პატრიარქატი" გამოიყენებოდა ოჯახის თავის - კაცის ავტოკრატიული მმართველობის აღსანიშნავად, თუმცა XX საუკუნის ბოლოდან მას ასევე იყენებენ სოციალური სისტემების მნიშვნელობით, რომლებშიც ძალაუფლებას, ძირითადად, ზრდასრული კაცები ფლობენ.

ფრიდრიხ ენგელსი თავის ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს სათავეები"[1] აცხადებს, რომ „მონოგამია[2] არავითარ შემთხვევაში არ გვევლინება ისტორიაში, როგორც კაცისა და ქალის შერიგება, მითუმეტეს არა - როგორც ამ შერიგების უმაღლესი ფორმა. პირიქით, მონოგამია წარმოადგენს ერთი სქესის მიერ მეორის დამორჩილებას, როგორც სქესებს შორის მიმდინარე კონფლიქტის გაცხადება, რომელიც მანამდე, ისტორიამდელ ეპოქებში, სრულიად უცნობი იყო. (...) შრომის განაწილების პირველი შემთხვევა გულისხმობდა კაცსა და ქალს შორის ბავშვის კვებაზე პასუხისმგებლობის განაწილებას".[3] წარმოშობით ავსტრიელი ამერიკელი ფემინისტი ისტორიკოსი, გერდა ლერნერი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ კაცის კონტროლი ქალის სექსუალობასა და რეპროდუქციულ ფუნქციებზე პატრიარქატის ძირითადი მიზეზი და შედეგია. თუმცა ლერნერი ასევე უშვებს, რომ პატრიარქატი არ წარმოქმნილა როგორც ერთიანი მოვლენა, აცხადებს რა, რომ, როგორც სოციალური სისტემა ის წარმოიქმნა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და სხვადასხვა ეპოქაში.[4]

თავის მხრივ, ცნობილი ლიტველი არქეოლოგი,

1 შეიძლება, არც იყოს შემთხვევითი, რომ „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს სათავეები" თითქმის მალ ითარგმნა რუმინულსა და სერბულზე. 1891 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ენგელსი ახსენებს, რომ წიგნი ითარგმნა ჯერ იტალიურზე (1885) და შემდეგ რუმინულზე (1886). იხ. Engels, The Origin of the Family Private Property and the State, 1908, p.12. სერბულზე სწრაფად შესრულებული თარგმანის შესახებ ჩვენთვის ცნობილი გახდა ტატიანა ანდრიუშჩენკოს წყალობით.

2 ენგელსისთვის ცნობილი იყო ურთიერთობების სხვა ტიპებიც „გარდა მონოგამიისა, აღმოსავლური პოლიგამიისა და ინდურ-ტიბეტური პოლიანდრიისა", როგორც ამას ვკითხულობთ მე-4 გამოცემის ავტორისეულ წინასიტყვაობაში (1891 წელი).

3 Engels, The Origin of the Family, Private Property, and the State: In the Light of the Researches of Lewis H. Morgan, 1968, p.66. ასევე იხ. Trat, Engels and the Emancipation of Women, Science & Society, Vol.62, No.1, Spring, 1998, p.88.

4 Lerner, The Creation of Patriarchy. Women and History, 1986, pp. 8–11.

მარია გიმბუტასი აცხადებს, რომ მამრობითი იერარქიები ეგეოსის, ბალკანეთისა და სამხრეთ იტალიის რეგიონებში შეიტანეს აღმოსავლეთელმა დამპყრობლებმა, რის შედეგად, დასავლურ საზოგადოებაში მოხდა პატრიარქატის აღზევება.[5]

დისკუსიები ამ თემაზე დღესაც მიმდინარეობს, ხოლო ბიოლოგიური თეორია უსაფუძვლოა, რადგან სიტუაცია ძალიან განსხვავებულია სხვადასხვა სახეობაში, დაწყებული ფრინველებით და დამთავრებული მაიმუნებით.

ჩრდილოეთ ალბანეთის, მონტენეგროს, ბოსნიის, კოსოვოს და მეტოქიის იზოლირებულ მთიან რეგიონებში მცხოვრებ მეცხვარეთა შორის დღემდეა შენარჩუნებული უძველესი ადათი, რომლის თანახმად, ქალები, რომლებიც დებენ პირობას შეინარჩუნონ ქალწულობა, ირგებენ კაცის როლს და, შესაბამისად, მატერიალურად უზრუნველყოფენ თავიანთ ოჯახებს. სერბულ და ხორვატულ ენებზე მათ უწოდებენ „ტოიბელიეს“, „ვირდზინეს“, „ოსტაინიცას“ და „მუსკობანიას“, ხოლო ალბანურ ენაზე - „ვირგინეშეს“ და „ბურნეშას“. ანთროპოლოგთა აზრით, ეს გახლავთ კაცის ხაზით მემკვიდრეობითობის შესახებ არქაული წესის გადმონაშთი. ეთნიკური თვალსაზრისით, ეს წეს-ჩვეულება გვხვდება როგორც სლავებში (სერბეთი, მონტენეგრო), ისე ალბანელთა შორის, ხოლო რელიგიური თვალსაზრისით - მართლმადიდებლებში, კათოლიკეებსა და მუსლიმებში. მეცნიერებს არ აქვთ ერთიანი მოსაზრება ხსენებული ადათის წარმოშობის დროსთან დაკავშირებით. ზოგიერთის თანახმად, ამ მოვლენის ფესვები ისტორიამდელ ეპოქაში უნდა ვეძებოთ, თუმცა ასევე გამოთქმულია თვალსაზრისი თანამედროვე ეპოქაში მისი წარმოშობის შესახებ.

ეთნოლოგი პრედრაგ შარჩევიჩი თვლის, რომ ქალწულთა გამოჩენა არის კლანური წყობილებიდან სამოქალაქო საზოგადოებაზე გადასვლის შედეგი, განსაკუთრებით მონტენეგროში, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე.[6]

მონტენეგროს უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის და ეთნოლოგიის პროფესორის, ლიდია ვუიაჩიჩის თანახმად, პირველი წერილობითი მითითებები ამ საკითხზე გვხვდება XIX საუკუნეში.[7]

მსგავსი ადათ-წესები ასევეა დაფიქსირებული პაკისტანში, ავღანეთსა და ჩინეთში. National Geographic-ის დოკუმენტური სერიალში „ტაბუ“ გაჟღერებულია ინფორმაცია, რომ 2002 წელს ალბანეთში იყო 100-ზე მეტი შეფიცული ქალწული[8] (სურ. 1).

ბალკანეთში შეიძლება გამოვყოთ ქალწულთა ხუთი ტიპი, რომლებმაც უარი თქვეს თავიანთ ქალობაზე. ეს დაყოფა ხდება ამ ნაბიჯის უკან არსებული მიზეზების საფუძველზე. ზოგი გოგონა ამ გზით ახდენს ზრდასრული კაცების ნაკლებობის კომპენსაციას, ზოგი კი დროებით ცელიბატს არჩევს, რადგან მათი ოჯახების მამრ წევრებს სისხლის აღების საფრთხე ემუქრებათ.[9] მესამე ტიპში შედიან ალბანელი გოგონები, რომლებიც უარს ამბობენ დაწინდვით აღებულ ვალდებულებებზე. მეოთხე ტიპი მოიცავს არა ქალწულებს, არამედ განქორწინებულ ქალებს. მეხუთე ტიპი: გოგონები, რომლებიც დებენ ცელიბატის აღქმას და ირგებენ კაცის როლსა და იდენტობას, რადგან ოჯახში არ ჰყავთ მამრობითი სქესის ბავშვები. ამ უკანასკნელი ტიპის ქალწულებს ხშირად გაჩენისთანავე აცხადებენ „ძეებად“ და ადრეული ასაკიდანვე ბიჭებად ზრდიან. ამ შემთხვევაში, ფიცის დადება არ ხდება საჯაროდ, ხოლო მათი ბიოლოგიური სქესი დამალული შეიძლება დარჩეს უცხოებისთვის. საზოგადოებასა და კერძო ურთიერთობებში ისინი სარგებლობენ კაცებისთვის განკუთვნილი ყველა პრივილეგიით.[10]

ჩვენ გამოვყავით 6 ბალკანური მხატვრული ფილმი, რომლებშიც გაშუქებულია შეფიცული ქალწულების საკითხი, რომელთაც ბიჭებად ზრდიან. ეს

5 Gimbutas, The Civilization of the Goddess: The World of Old Europe. San Francisco: Harper Collins, 1992, pp. 351–510.

6 Šarčević, Predrag, Virdžina – žena koje nema, Montenegrina antropologija. Digitalna biblioteka crnogorske culture, http://www.montenegrina.net/pages/pages1/antropologija/virdzina_zena_koje_nema_p_sarcevic.htm.

7 Šćepanović, Lela, 'Virdžina' - prokletstvo imati sina po svaku cijenu, https://www.slobodnaevropa.org/a/virdzina-prokletstvo-imati-sina-po-svaku-cijenu/27898529.html.

8 https://en.wikipedia.org/wiki/Albanian_sworn_virgins.

9 ლაპარაკია ალბანეთში „გიაკამრიას“ სახელით ცნობილი ვენდეტის, ანუ სისხლის აღების წესზე.

10 დეტალურად ამის შესახებ იხ. https://sr.wikipedia.org/wiki/Вирџина_(феномен).

ფილმები გადაღებულია 3 ქვეყანაში (იუგოსლავია, ბულგარეთი და რუმინეთი), ხოლო ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს ერთობლივ საერთაშორისო პროექტს.

მეტოდი ანდონოვის „თხის რქა“ (1972) და მისი „რიმეიქი“ იმავე სახელწოდებით (1994, რეჟისორი ნიკოლაი ვოლევი) გადაღებულია ნიკოლაი ჰაიტოვის ერთ-ერთი ცნობილი მოთხრობის მიხედვით. აქ გოგონას ბიჭად აღზრდის მიზეზად სისხლის აღების ტრადიცია გვევლინება. ორივე ფილმში მანამდე არნახული სიღრმითაა ნაჩვენები აბრაგების ცხოვრება. პირველი ფილმი საყოველთაოდაა აღიარებული, როგორც ყველა დროის საუკეთესო ბულგარული ფილმი და მიღებული აქვს რიგი ჯილდოები, მათ შორის ჟიურის სპეციალური პრიზი კარლოვი ვარიში. არანაკლებ წარმატებული აღმოჩნდა ნიკოლაი ვოლევის 1994 წლის „რიმეიქი“ (სცენარის ავტორები: ვოლევი და ჰაიტოვი). XVII საუკუნე. როდოპის მთებში დაკარგულ ერთ-ერთ სოფელში 4 თურქი, მცირეწლოვანი ქალიშვილის თვალწინ, აუპატიურებს და კლავს მეცხვარე კარაივანის (ანტონ გორჩევი) ცოლს. ამის შემდეგ კარაივანი ხიზნავს თავის გოგოს მთაში და, შურისძიების მიზნით, ბიჭად ზრდის მას. 9 წლის შემდეგ მარია (კატია პასკალევას დახვეწილი შესრულებით) გვევლინება, როგორც კაცის სამოსში გამოწყობილი ქალიშვილი, რომელიც პირველ სამ თურქ ბანდიტს თხის რქით კლავს. მეოთხე მკვლელის ძიებისას იგი ხვდება მდიდრულ სასახლეში, სადაც შეესწრება სიყვარულის სცენას, რაც მასში ქალურობას აღვიძებს, შემდეგ იგი ხვდება ერთ მეცხვარეს და მის მიმართ სიყვარულის გრძნობა უჩნდება. კარაივანი მეცხვარის ქოხს ცეცხლს უკიდებს და ხანძარში მისი ქალიშვილიც იღუპება. ძალადობრივი სცენების სიუხვის მიუხედავად, ფილმში შეინიშნება ინტრიგის მძლავრი მუხტი, ხოლო დიმო კოლაროვის შავ-თეთრ გამოსახულებას ნარატივში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით მაშინ, როცა დიალოგი გამოტოვებულია. „რიმეიქში“ ხაზგასმულია უხეში სცენები და პერსონაჟების სისასტიკე, თუმცა ასევე გვხვდება ახალი ასპექტები, კერძოდ, სექსუალობა. „რიმეიქის“ დასასრული ოდნავ განსხვავდება ორიგინალისგან. მეცხვარე (პეტარ პოპიორდანოვი), რომელიც მარიას (ელენა პეტროვა) უყვარდება, მუსლიმია. კარაივანი (ალექსანდრ მორფოვი) იარაღით კლავს მას. მარია პოულობს მეცხვარის ცხედარს. საბოლოოდ, ისიც და მამამისიც ბეის ტყვიას ეწირებიან. თავად ანდონოვი აღიარებს, რომ ფილმი არ გახლავთ ისტორიული ჟანრის. ორივე ფილმი სამართლიანად განიხილება, როგორც ძალადობის ფილოსოფიური ალეგორია და მათი მიკუთვნება ამა თუ იმ ჟანრისთვის მხოლოდ დააკნინებს მათ ღირსებას. მეორე მხრივ, ჰაიტოვი „თხის რქას“ მიაკუთვნებს „ველური ისტორიების“[11]კატეგორიას, რომლის ფარგლებში იგი ცდილობს შუა საუკუნეების ბალკანეთის არქეტიპების წარმოჩენას. შურისძიება და გოგონას უმწიკვლობა წარმოადგენს ტრადიციულ მახასიათებლებს, რომელთაც ხალხური წარმოსახვა აბრაგებს მიაწერდა.[12]

სათავგადასავლო თემატიკის გამონაკლისით, „თხის რქა“ გვთავაზობს ზუსტად იმავეს, რასაც აბრაგების (ჰაიდუკების) შესახებ ფილმები: ძალადობასა და სიყვარულს. „თხის რქის“ ორივე ვერსია შეიძლება ჩაითვალოს აბრაგების (ჰაიდუკების) შესახებ ფილმად, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ სათავგადასავლო თემატიკა მეორეულია (სურ. 2, 3).

მხატვრული ფილმი „ვირჯინა“ (1991, იუგოსლავია-საფრანგეთი, რეჟისორი სრჯან კარანოვიჩი) ასახავს ჩვენ მიერ განხილულ ადათს XIX საუკუნის დრამის ფორმით. ბოსნიის ერთ-ერთი მთიანი სოფლის მოსახლეობის აზრით, ოჯახი მამრი მემკვიდრის გარეშე დაწყევლილია, რის გამოც ტიმოტიე (მიოდრაგ კრივოკაპიჩი) გადაწყვეტს, თავისი მეოთხე ქალიშვილი ბიჭად აღზარდოს და უწოდოს მას სტევანი (მარტა კელერი). მამა შვილის ნაცვლად დებს ფიცს, რომ იგი კაცად გაიზრდება. წლების შემდეგ სტევანს უყვარდება მიიატი, რომლის ოჯახიც მხარს უჭერს მათ ურთიერთობებს. ტიმოტიე - ერთადერთი ადამიანი, ვინც ეწინააღმდეგება ქალ-ვაჟის სიყვარულს, მალევე კვდება, თუმცა გარდაცვალებამდე ასწრებს ქალიშვილთან შერიგებას გულისამაჩუყებელ სცენაში, რის შემდეგაც წყვილი ქორწინდება (სურ. 4).

შედარებით მოგვიანებით გადაღებულ ორ ფილ-

11 მისი მოთხრობების პირველი ტომის სათაური (1967).
12 „ჰაიდუკები“ ბალკანურ ენებზე.

მში: „ერთი ცის ქვეშ“ (2003, ბულგარეთი, რეჟისორი კრასიმირ კრუმოვი) და „რინა“ (2005, რუმინეთი-შვეიცარია, რეჟისორი რუქსანდრა ზენიდე) აღწერილია თანამედროვე საზოგადოებაში ბიჭად აღზრდილი ორი გოგოს ბედი.

„ერთი ცის ქვეშ“ გახლავთ დრამა ემიგრანტების, დაცარიელებული სოფლებისა და სამხრეთ ბულგარეთში მცხოვრები თურქების შესახებ, რომელიც, გარკვეულწილად, მოგვაგონებს კიდევ ერთ ბალკანურ ფილმს - თეოდოროს ანგელოპულოსის „პეიზაჟი ნისლში“ (1988, საბერძნეთი-საფრანგეთი--იტალია). 15 წლის რუფი (მარტა კონდოვა) ცხოვრობს ბებიასთან ერთად (ლეონტინა არდიტი), მთიან სოფელში. მამამისი (რუმენ ტრაიკოვი), სამსახურის დაკარგვის შემდეგ, სამუშაოს საძებნად თურქეთში გაემგზავრა. გოგოს მისგან უკვე 3 წელია, არანაირი შეტყობინება არ მიუღია. ახლო ნათესავები კი არწმუნებენ, რომ მამამ სამუდამოდ მიატოვა. რუფი დიდი გაჭირვებით შოულობს ფულს, რათა გადაუხადოს გზამკვლევს და უკანონოდ გადაკვეთოს საზღვარი, რა დროსაც იგი თმებს ბიჭურად იკრეჭს. საზღვრის გადაკვეთისას იგი ხვდება ერთ ყმაწვილს (პლამენ ველიკოვი). მათ ერთმანეთი უყვარდებათ, თუმცა რუფი მაინც უმალავს თავის ვინაობას. ჰაირედინი ბრუნდება ლტოლვილთა ჯგუფთან ერთად. ჯგუფები სხვადასხვა მიმართულებით მიემგზავრებიან საზღვრისკენ. ბედის ირონიით, სიბნელეში მამა და შვილი ერთმანეთს ვერ ცნობენ (სურ. 5).

ფილმში „რინა“ რუქსანდრა ზენიდე და სცენარის თანაავტორები: ანდრეა ვალეანი და მარეკ ეპშტეინი წარმოგვიდგენენ 16 წლის გოგონას (დოროთეა პეტრე), რომელიც საკუთარი იდენტობის დადგენის პრობლემის წინაშე დგას. მისი მოძალადე მამა, რომელსაც ძე უნდოდა, ბიჭად ზრდის მას და სამუშაოდ უშვებს გასამართ სადგურზე, პატარა ქალაქ სულინაში, დუნაის დელტის მიდამოებში. სამწუხაროდ, პირველივე სამოსი, რომელსაც იგი საკუთარი ხელფასით ყიდულობს, დიდ უბედურებას მოუტანს - გოგოს აუპატიურებენ. ამ ფილმში დოროთეა პეტრემ დაუვიწყარი როლი შეასრულა - ისევე, როგორც ერთი წლის შემდეგ ფილმში „როგორ გავატარე ქვეყნიერების აღსასრული“, რომლისთვისაც მას კანის კინოფესტივალის განსაკუთრებული ხედვის კატეგორიის ჯილდო მიენიჭა ქალის საუკეთესო როლის შესრულებისათვის (სურ. 6).

2007 წელს ალბანელმა მწერალმა და რეჟისორმა, ელვირა დონესმა იტალიაში დაწერა რომანი, ხოლო 2014 წელს გადაიღო დოკუმენტური ფილმი „შეფიცული ქალწული“, რომელიც ეძღვნება რეალურ პირს - ჰანა დოდას. ხსენებული რომანიც რეალურ მოვლენებს ეფუძნება. იტალიელმა რეჟისორმა, ლაურა ბისპურიმ, სცენარისტ ფრანჩესკა მანიერისთან ერთად, ამ რომანის საფუძველზე შექმნა ერთობლივი ნამუშევარი - ფილმი „შეფიცული ქალწული“ (2015, იტალია-შვეიცარია-გერმანია-ალბანეთი-კოსოვო-საფრანგეთი), რომელმაც თავისი რეალისტური ასახვით შეძრა დასავლური აუდიტორია (სურ. 7).

ალბანეთის ერთი მთიანი სოფლის მაცხოვრებელი ჰანა, ოჯახის დაჟინებული თხოვნით, 10 წლის განმავლობაში ცხოვრობს როგორც მამაკაცი. ერთხელაც ჰანა გადაწყვეტს, გაიქცეს იტალიაში და იპოვოს თავისი დობილი და მეგობარი ლილა (ფლონია კოდელი). თავდაპირველად, ჰანა თავს წარადგენს, როგორც კაცი - ვინმე მარკი, თუმცა საბოლოოდ ამ იდენტობაზეც ამბობს უარს. ფილმში გვხვდება ერთი სამახსოვრო დრამატული სცენა, როცა ჰანა აუზში მომუშავე დისშვილს (ემილი ფერატელო) საცურაო კოსტიუმში ეცხადება.

მართალია, შეფიცული ქალწულობა თითქმის გამქრალ ადათს წარმოადგენს, ბალკანეთში ის ბოლო დრომდე გვხვდებოდა, ხოლო ალბანეთში დღესაც ცხოვრობს დაახლოებით ასი შეფიცული ქალწული. ბუნებრივია, ეს ეგზოტიკური თემა ძალიან საინტერესოა კინემატოგრაფიისთვის, თუმცა ის ასევე ზუსტად ასახავს იზოლირებულ და სასტიკ პატრიარქალურ საზოგადოებას, სადაც უბრალო მატერიალურ შესაძლებლობებზე თუ სისხლის აღებაზეა დამოკიდებული - გახდება თუ არა ესა თუ ის გოგო შეფიცული ქალწული. ცხადია, ბიჭად გოგოს აღზრდა, გარკვეული ფორმით, დღეს კიდევ უფრო ხშირად ხდება - როგორც წესი, ცივილიზაციას მოწყვეტილ მთიან რეგიონებში,[13] სადაც ქრისტიანობამ ფეხი ბოლომდე ვერ მოიკიდა და სადაც გაბატონებულია ბო-

13 ან დუნაის დელტის ჭაობებში, როგორც ამას ვხედავთ ფილმში „რინა“ (2005, შვეიცარია-რუმინეთი, რეჟისორი

გომილობა, სადაც დღემდე ძალაშია კლანური ურთიერთობები და დაუწერელი კანონები, სადაც აბრაგებს და პარტიზანებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გამკლავებოდნენ ბევრად უფრო ძლიერ მტერს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Engels, Friedrich. The Origin of the Family Private Property and the State. Chicago: Charles H.Kerr & Company, 1908.
- Engels, Friedrich. The Origin of the Family, Private Property, and the State: In the Light of the Researches of Lewis H. Morgan. Moscow: Progress Publishers, 1968.
- Trat, Josette. Engels and the Emancipation of Women, in Science & Society, Vol. 62, No.1, Spring, 1998, pp. 88-105.
- Lerner, Gerda. The Creation of Patriarchy. Women and History. New York: Oxford University Press, 1986.
- Gimbutas, Marija. The Civilization of the Goddess: The World of Old Europe. San Francisco: Harper Collins, 1992.
- Šarčević, Predrag, VIRDŽINA – ŽENA KOJE NEMA http://www.montenegrina.net/pages/pages1/antropologija/virdzina_zena_koje_nema_p_sarcevic.htm (20/03/2022)
- Virdžina' - prokletstvo imati sina po svaku cijenu, Radio Free Europe, 2016 (20/03/2022) https://www.slobodnaevropa.org/a/virdzina-prokletstvo-imati-sina-po-svaku-cijenu/27898529.html

---

რუქსანდრა ზენიდე).

1. შეფიცული ქალწული რაპშაში (ხოტი, ოსმალური ალბანეთი), XX ს. დასაწყისი; ედიტ დურამის ფოტოკოლექციიდან.
SWORN VIRGIN IN RAPSHA, HOTI, OTTOMAN ALBANIA, AT THE BEGINNING OF THE 20TH CENTURY. THE PHOTO COLLECTION OF EDITH DURHAM

2. „თხის რქის“ ჩეხური აფიშა. 1972
CZECH POSTER OF THE FILM THE GOAT HORN (1972)

3. „თხის რქის“ აფიშა. 1994
POSTER OF THE FILM THE GOAT HORN (1994)



4. ფილმის „ვირჯინა“ აფიშა. 1991
POSTER OF THE FILM VIRDZINA (1991)



5. ფილმის „ერთი ცის ქვეშ“ აფიშა. 2003
POSTER OF THE FILM POD EDNO NEBE (2003)

6. ფილმის „რინა“ აფიშა. 2005
POSTER OF THE FILM RYNA (2005)

7. ფილმის „შეფიცული ქალწული“ აფიშა. 2015
POSTER OF THE FILM VERGINE GIURATA (2015)

SWORN VIRGINS AND GIRLS RAISED AS BOYS IN BALKAN CINEMA

Marian Țuțui

Keywords: *Feminist history, the Balkans, sworn virgins, patriarchy, identity, exoticism, isolation, screen adaptation*
Illustrations: *pp. 219-220*

Patriarchy is a social system in which men hold power and predominate in roles of political leadership, moral authority, social privilege and control of property. Some patriarchal societies are also patrilineal, meaning that property and title are inherited by the male lineage. Even the contemporary societies are, in practice, patriarchal.

There have been various opinions whether patriarchy is a social product or an outcome of innate differences between the sexes. Historically, the term patriarchy has been used to refer to autocratic rule by the male head of a family; however, since the late 20th century it has also been used to refer to social systems in which power is primarily held by adult men.

Friedrich Engels in The Origin of the Family, Private Property and the State[1] asserted that "monogamy[2] does not by any means make its appearance in history as the reconciliation of man and woman, still less as the highest form of such a reconciliation. On the contrary, it appears as the subject of the subjugation of one sex by the other, as the proclamation of a conflict between the sexes entirely unknown hitherto in prehistoric times.(...) The first division of labour is that between man and woman for child breeding."[3]

Austrian-born American feminist historian Gerda Lerner agrees that male control over women's sexuality and reproductive functions is a fundamental cause and result of patriarchy but considers that there was no single event, and documents that patriarchy as a social system arose in different parts of the world at different times.[4]

On her turn, the famous Lithuanian archaeologist Marija Gimbutas argues that the Eastern invaders into the bronze agricultural cultures in the Aegean, the Balkans and southern Italy instituted male hierarchies that led to the rise of patriarchy in Western society[5].

The discussion is still open as biological theory is not relevant since the testimonies of other species are quite diverse starting with the birds and ending with the apes.

In isolated mountain regions of Northern Albania, Montenegro, Bosnia, Kosovo and Metohija, among the shepherd populations was preserved almost up to now-

1 It may not be a coincidence that The Origin of Family Private Property and the State (1884) was translated almost immediately into Romanian and Serbian. In the author's Preface to the Fourth Edition, 1891, Engels mentions that his book was translated first in Italian, then in Romanian ("Originea familiei, proprietății private și a statului, traducere de Ioan Nădejde, in the Jassy periodical "Contemporanul," September, 1885, to May, 1886"). See The Origin of the Family Private Property and the State, Charles H.Kerr & Company, Chicago, 1908, p.12, https://www.gutenberg.org/files/33111/33111-h/33111-h.htm. About rapid translation into Serbian we find out from Tatyana Andruschenko. See Andruschenko, Tatyana, "Prefatory note" in Marx-Engels Collected Works, vol. 26, p. 640.

2 Engels knew about other types of relations "aside from monogamy, oriental polygamy and Indo-Tibethan polyandry" as we can read in Author's Preface at the Fourth Edition, 1891.

3 The Origin of the Family, Private Property, and the State: In the Light of the Researches of Lewis H. Morgan, Progress Publishers, Moscow, 1968, p.66. See also Josette Trat, Engels and the Emancipation of Women, Science & Society, Vol.62, No.1, Spring 1998, p.88, https://www.jstor.org/stable/40403689.

4 Lerner, Gerda (1986). The Creation of Patriarchy. Women and History. Oxford University Press. pp. 8–11.

5 Gimbutas, Marija (1992). "The end of Old Europe: the intrusion of Steppe Pastoralists from South Russia and the transformation of Europe". The Civilization of the Goddess: The World of Old Europe. San Francisco, California: Harper Collins. pp. 351–510.

adays an archaic custom according to which girls who had sworn to remain virgin assume the condition of men and therefore provide for their families. They are called "toibelije", "virdzine" "ostajnica" or "muskobanja" in Serbian and Croatian, respectively "virgjinéshë" or "burrnesha" in Albanian. Anthropologists consider it an archaic reminiscence of the patrilineal law. Ethnically, it is about the Slavic (i.e. Serbian and Montenegrin) population on the one hand and the Albanian population, while as religious affiliation is concerned, the phenomenon is present among Orthodox, Catholics and Muslims.

Opinions of scientists on when the practice of virgins was established differ. Some believe that the origin of this phenomenon dates back to prehistory, while others believe that it is a modern phenomenon. Ethnologist Predrag Šarčević believes that the appearance of virgins is the result of the transition from clan to civil society, which, especially in Montenegro, can be traced back to the end of the 18th and the beginning of the 19th century.[6] According to Lidija Vujačić, a professor of anthropology and ethnology at the University of Montenegro, the first written traces of this topic appear in the nineteenth century.[7] Similar customs were in Pakistan, Afghanistan and China. According to National Geographic documentary series Taboo in 2002 there were left over 100 sworn virgins in Albania[8]. [Fig.1]

In the Balkans we can speak of six types of virgins who renounced to their womanhood starting from the reason why they did this.

Some girls compensate thus the lack of adult men, others temporarily vow to live in celibacy because the male members of their family are under the threat of blood feuds[9]; the third type includes Albanian girls who break off their engagement, the fourth type does not refer to virgins but to divorced women, and the fifth type is about girls who vow celibacy and take on the role and identity of a man because there are no male children in the family. Many virgins belonging to this last type were declared "sons" immediately after birth and were raised as boys from an early age. In this case, too, the vow is not made publicly; moreover, the biological sex of such persons may remain a complete secret to their environment. In public and private customary law, they possess all male privileges[10].

We have identified six Balkan fiction films that address the subject of sworn virgins or girls raised as boys. They are produced in three countries (Yugoslavia, Bulgaria and Romania) and the last one is an international co-production.

The Goat Horn (Koziat rog) (1972) by Metodi Andonov and its remake with the same title (1994) by Nikolay Volev adapt for the screen one of the most spectacular stories by Nikolai Haitov. In this case accomplishing revenge is the motivation of raising a girl as a boy. The two films keep a spectacular character but acquire a profundity never achieved by any other films with outlaws anywhere. The first is considered almost unanimously the best Bulgarian film ever and it won several awards among which the jury prize in Karlovy Vary. The remake in 1994 by Nikolay Volev (who contributed also as a scriptwriter together with Haitov) was also a successful film. In an isolated hamlet in the Rhodope Mountains in the 17th century, four Turks rape and kill the wife of shepherd Karaivan (Anton Gorchev) in front of the eyes of the little daughter. Karaivan takes the little girl to the mountains and raises her as a boy for the purpose of revenge. After nine years, Maria (featured with a nuanced acting by Katia Paskaleva) became a young girl in man's clothes who kills the first three bandits with a goat horn. Looking for the fourth killer, she gets into a rich mansion where she witnesses a love scene. Femininity arises in her. She encounters a shepherd and falls in love. Karaivan sets the hut with the shepherd on fire but this way kills also his daughter. Although the harshness of violence scenes is in the forefront, there is also suspense and the black/white images of Dimo Kolarov have a decisive narrative

6 Šarčević, Predrag, Virdžina – žena koje nema, Montenegrina antropologija. Digitalna biblioteka crnogorske culture, http://www.montenegrina.net/pages/pages1/antropologija/virdzina_zena_koje_nema_p_sarcevic.htm.

7 Šćepanović, Lela, 'Virdžina' - prokletstvo imati sina po svaku cijenu, https://www.slobodnaevropa.org/a/virdzina-prokletstvo-imati-sina-po-svaku-cijenu/27898529.html.

8 Apud https://en.wikipedia.org/wiki/Albanian_sworn_virgins.

9 It is about "gjakmarrja" in Albanian, meaning "blood-taking" or "vendetta" in English when somebody has the social obligation to commit murder in order to salvage honour of his family.

10 For more details see https://sr.wikipedia.org/wiki/Вирџина_(феномен).

role, especially as dialogue is often missing. The remake underlines the harshness of scenes and characters but it introduces a new aspect, namely sexuality. The end is a bit different. The shepherd whom Maria (Elena Petrova) falls for is a Muslim (Petar Popyordanov). Karaivan (Aleksandr Morfov) shoots him. Maria finds his body and the bullets of the bey put an end to her life and her father's. Andonov witnessed that his film was not a historical one. The two films have been considered with good reason as philosophical allegories of violence and obviously that placing them into another genre would me minimizing. However, The Goat Horn belongs to Haitov "wild stories"[11], in which he tried to render the archetypes of the middle ages in the Balkans. Revenge and the girl's purity of the soul belong to the traditional features that folk imagination bestowed on outlaws[12]. If we eliminate the adventures of films with outlaws (haidouks) in the main will be left the same things that The Goat Horn suggests: violence and love. In this respect, The Goat Horn in both variants should be considered an essence of films with outlaws (haidouks) if adventure would not be somehow consubstantial to them. [Fig.2, 3]

The fiction film Virgina (Virdzina) (1991, Yugoslavia-France, Srdjan Karanović) mirrors such a custom through a spectacular drama set in the 19th century. The local people from a mountain village in Bosnia consider that a family without male off-springs is cursed. Therefore, after his wife gives birth to three daughters, Timotije (Miodrag Krivokapić) decides to raise her fourth girl as a boy called Stevan (Marta Keler) in order to take care of the family. In this sense he swears on her behalf that she will grow up like a man. The settlement of Mijat's family (Igor Bjelan) together with Stevan's one facilitates the affair of the two youngsters. Timotije, the only one opposing, dies and the girl can marry the one she loves. Before death Timotije makes up with his daughter in a simple but moving scene. [Fig.4]

Two more recent films Under the Same Sky (Pod edno nebe) (2003, Bulgaria, Krassimir Kroumov) and Ryna (2005, Romania- Switzerland, Ruxandra Zenide) depict the destinies of two girls raised as boys in today's society.

Under the Same Sky is not only a drama of emigration but also of the deserted villages or of the Turks in Southern Bulgaria. It reminds somehow of another Balkan film, Theodoros Angelopoulos' Landscape in the Mist (Topio stin omihli, 1988, Greece- France- Italy). Fifteen years old Rufie (Marta Kondova) lives together with her grandmother (Leontina Arditi) in a mountain village. Her father Hairedin (Rumen Traikov) left in search for work in Turkey after becoming unemployed. The girl has not received any news from him for three years. Even her close relatives tell her that he might have forgotten about her. She struggles to get money for paying the guide in order to cross the border illegally and cuts her hair to look like a boy. When crossing the border, she meets a boy (Plamen Velikov) and they fall in love with each other but she keeps the secret of her real identity. Hairedin returns with a group of refugees. The two groups cross the border in different directions. Ironically, in the darkness, father and daughter cannot recognize each other. [Fig.5]

In Ryna Ruxandra Zenide and her co-scriptwriters Andreea Vălean and Marek Epstein imagine a 16 years girl (Dorotheea Petre) struggling nowadays to assert her own identity. Her abusive father (Valentin Popescu) longed for a son and brought up like a boy in order to work at a gas station in Sulina, a small town in the Danube Delta. Tragically, her first dress, bought with the money she earned herself, will bring her misfortune, because she will be raped. Dorotheea Petre played a memorable role, as she did a year later in How I Spent the End of the World (Cum mi-am petrecut sfârșitul lumii), for which she won at Cannes the award for best actress at the section Un certain regard section. [Fig.6]

Albanian writer and filmmaker Elvira Dones wrote a novel in Italy in 2007 and also made a documentary in 2014 entitled The Sworn Virgin. The documentary refers to a real person, Hanna Doda, but the novel is also inspired by reality. Italian director Laura Bispuri together with screenwriter Francesca Manieri processed the novel in a dramatic co-production Sworn Virgin (Vergine giurata) (2015, Italy-Switzerland-Germany-Albania-Kosovo-France) that shocked the western audience although uses a sober depiction. [Fig.7]

Hana (Alba Rohrwacher) has been secluded by her family to live like a man for ten years in a small village

11 The title of his first volume of stories (1967).

12 "Haidouks" in several Balkan languages.

in the mountains of Albania. She decides to escape and look for her adopted sister and friend Lila (Flonja Kodheli) in Italy. She will use the male identity as Mark but finally she will have to give it up. There is also a memorable dramatic scene in which she appears in a women's swimsuit in front of her niece (Emily Ferratello), who was working on a pool.

Although it seems to be some quasi-extinct custom, sworn virgins have existed until recently in the Balkans or even nowadays about a hundred still live Albania. The topic is, obviously, thrilling and exotic especially for fiction films, but mirrors a patriarchal, secluded and harsh society, where mere subsistence or preventing a vengeful murder determines a girl to become a sworn virgin. Obviously, raising a girl as boy is something similar which happens even nowadays even more often. It is usually about the same landscape, of isolated mountains[13], where Christianity hardly penetrated and Bogomilism proliferated, where clan relations and unwritten laws ("kanun") survived until modern times or where outlaws and partisans could resist against much stronger enemies.

REFERENCES:

- Engels, Friedrich. The Origin of the Family Private Property and the State. Chicago: Charles H.Kerr & Company, 1908.
- Engels, Friedrich. The Origin of the Family, Private Property, and the State: In the Light of the Researches of Lewis H. Morgan. Moscow: Progress Publishers, 1968.
- Trat, Josette. Engels and the Emancipation of Women, in Science & Society, Vol. 62, No.1, Spring, 1998, pp. 88-105.
- Lerner, Gerda. The Creation of Patriarchy. Women and History. New York: Oxford University Press, 1986.
- Gimbutas, Marija. The Civilization of the Goddess: The World of Old Europe. San Francisco: Harper Collins, 1992.
- Šarčević, Predrag, VIRDŽINA – ŽENA KOJE NEMA http://www.montenegrina.net/pages/pages1/antropologija/virdzina_zena_koje_nema_p_sarcevic.htm (20/03/2022)
- Virdžina' - prokletstvo imati sina po svaku cijenu, Radio Free Europe, 2016 (20/03/2022) https://www.slobodnaevropa.org/a/virdzina-prokletstvo-imati-sina-po-svaku-cijenu/27898529.html

13 or swamps of the Danube Delta as in Ryna (2005, Switzerland- Romania, Ruxandre Zenide).